განკარგულება:**გ-63. 632435916**
თარიღი:**24/12/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2025 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24 -ე მუხლის 1-ლი პუნქტი „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს მიერ 2025 წელს განსახორციელებელი პროგრამისა და ამ პროგრამის შესრულებისათვის საჭირო ხარჯის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს მიერ 2025 წელს განსახორციელებელი პროგრამა (დანართი N1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2025 წლის შემოსავალი (დანართი N2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს პროგრამის ღონისძიებების 2025 წლის ხარჯები დანახარჯთა სახეების მიხედვით (დანართი N3).

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ პროგრამის ღონისძიებების 2025 წლის საკუთარი ხარჯები, დანახარჯთა სახეების მიხედვით (დანართი N4).

5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2025 წლის საშტატო განრიგი (დანართი N5).

დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი” 2025 წლის პროგრამა

1. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დეზინსექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
3. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისთვის მიწოდებული მასალების მიღება, შენახვა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისთვის განაწილება; ვაქცინაციის პროცესზე ზედამხედველობა და

პროცესის მართვა;

4. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;
5. „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;
6. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების განხორციელების ხელშეწყობა.

აღწერა

ძირითადი სტრატეგიები:

N1 - საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

N2 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დეზინსექციის ღონისძიებათა ორგანიზება;

N3 - პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისთვის მიწოდებული მასალების მიღება, შენახვა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისთვის განაწილება; ვაქცინაციის პროცესზე ზედამხედველობა და პროცესის მართვა

N4 -პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;

N5 „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;

N6 – ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების განხორციელების ხელშეწყობა.

მიზანი

მოსახლეობაში ინფექციური დაავადებების გავრცელების შემცირება მათი ელიმინაციისა და კონტროლის გზით.

მოსახლეობის სხვადასხვა კონტიგენტის იმუნიზაციით, სხვადასხვა ინფექციის მიმართ იმუნური ფენის შექმნით, ავადობის მინიმუმამდე დაყვანა, მოსახლეობის ვაქცინაციით მაღალი მოცვა და საშიში ინფექციური დაავადებების, ვაქცინაციის გზით თავიდან აცილება.

მალარიის კერების ელიმინაცია და მალარიის აფეთქების თავიდან აცილება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ავადობისა და ავადობის სტრუქტურის შესახებ სანდო იმფორმაციის მიღება, მიღებული ინფორმაციის შედეგებიდან გამომდინარე გამოვლენილი ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა, მოსახლეობის ფართო მასებში გავრცელების თავიდან აცილება, ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ 2025 წლის შემოსავალი

(ათასი ლარი)

N	შემოსავლის დასახელება	თანხა (ათ. ლარი)
1	**სუბსიდია (დელეგირებული ტრანსფერი)**	**269,50**
	სუბსიდია (დელეგირებული ტრანსფერი)	269,50

	სულ სუბსიდია	**269,50**
3	**საკუთარი შემოსავლები.**	**14,60**
	ა) დ.კ.ე.ც.(გადამდებ დავადებათა ეპიდზედამხედველობის) პროგრამა	8,40
	მალარიის სახელმწიფო პროგრამა	3,90
	ტუბერკულოზის მართვა	1,60
	ტყვიის ზედამხედველობის სისტემა	0,70
	ჯამი:	**284,10**

დანართი 3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ პროგრამის ღონისძიებების 2025 წლის ხარჯები, დანახარჯთა სახეების მიხედვით.

(ათასი ლარი)

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	**ორგანიზაციული კოდი**	**სამტრედიის მუნიციპალიტეტი**	**მიზნობრივი ტრანსფერი**
	06 01 01	**ბიუჯეტიდან მისაღები ხარჯები**	**269,50**
		მომუშავეთა რიცხოვნობა	**13**
2		**ხარჯები**	**269,50**
2,1		**შრომის ანაზღაურება**	**232,20**
2,2		**საქონელი და მომსახურება**	**34,30**
2,7		**სოციალური უზრუნველყოფა**	**3,00**

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ პროგრამის ღონისძიებების 2025 წლის საკუთარი ხარჯები, დანახარჯთა სახეების მიხედვით.

(ათასი ლარი)

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	**ორგანიზაც. კოდი**	**სამტრედიის მუნიციპალიტეტი**	**დ.კ.ე.ც.პროგრამა**				**სულ ხარჯი**
			ეპიდზედამხედველობა	**მალარია**	**ტუბერკულოზის მართვა**	**ტყვიის ზედამხედველობის სისტემა**	
	06 01	**შემოსულობე**	**8,40**	**3,90**	**1,60**	**0,70**	**14,60**

	01	ბი					
2		ხარჯები	8,40	3,90	1,60	0,70	14,60
2,1		შრომის ანაზღაურება	8,00	3,40	1,60	0,70	13,70
2,2		საქონელი და მომსახურება	0,40	0,50	0,00	0,00	0,90

დანართი N5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის“ 2025 წლის საშტატო განრიგი *(ლარი)*

#	**სტრუქტურული საშტატო ერთეული**		**სახელფასე ფონდი**	
		რიცხოვნობა	**თვის სარგო (ლარი)**	**სულ ჯამი**
1	დირექტორი	1	2628	31536
2	მთავარი ბუღალტერი	1	1460	17520
3	ექიმი ეპიდემიოლოგი (პირველადი, მათ შორის ცოფზე ეპიდკვლევები წარმოება)	1	1460	17520
4	იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკაზე (ცივ ჯაჭვზე) პასუხისმგებელი პირი	1	1460	17520
5	ექიმი-ეპიდემიოლოგი პირველადი (იმუნიზაცია)	1	1460	17520
6	ექიმი-ეპიდემიოლოგი პირველადი	1	1314	15768
7	ექიმი პრევენციონისტი/ პროფილაქტიკოსი (სანიტარული ნორმების კონტროლი)	1	1460	17520
8	ექიმი ეპიდემიოლოგ-პარაზიტოლოგი	1	1460	17520
9	სამედიცინო სტატისტიკურ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი	1	1460	17520
10	ენტომოლოგი	1	1460	17520
11	პარაზიტოლოგი-ლაბორანტი	1	1460	17520
12	დამლაგებელი	1	1095	13140
13	მძღოლი	1	1168	14016
	საერთო ჯამი:	13	**19345**	**232140**

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი